არქ ექსპერტიზის ცენტრი
ARCH EXPERTISE CENTER

ექსპერტიზის

ანგარიში № AEC-III-IR-A35-K2-22

ქ. თბილისში, ლუბლიანას ქ. N10, მ. ჭიაურელის ქ. N5, ლუბლიანას ქ. N4, ჩაჩავას ქ. N1, ლუბლიანას ქ. N5, ს.კ. 01.13.02.006.048, მრავალპროფილური კლინიკის არქიტექტურული ნაწილების „ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებასთან შესაბამისობის შესახებ

დაწყების თარიღი: 2018 წლის 11 სექტემბერი

დასრულების თარიღი: 2022 წლის 24 ივნისი

„ვამტკიცებ“
შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“-ს
დირექტორი

ჯარჯი ჯოხაძე

24 იანვარი 2022 წელი

ექსპერტიზის

ანგარიში № AEC-III-IR-A35-K2-22

ქ. თბილისში, ლუბლიანას ქ. N10, მ. ჭიაურელის ქ. N5, ლუბლიანას ქ. N4, ჩაჩავას ქ. N1, ლუბლიანას ქ. N5, ს.კ. 01.13.02.006.048, მრავალპროფილური კლინიკის არქიტექტურული ნაწილების „ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებასთან შესაბამისობის შესახებ

შემადგენლობა:

1. ექსპერტიზის სახეობა
2. შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“ ექსპერტიზის ორგანო
3. ინფორმაციული ზოგადი ნაწილი
4. დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია
5. პროექტის აღწერილობა, დაგეგმარების საფუძველი და მიზნები
6. დაგეგმარებისათვის გამოყენებული კანონმდებლობა
7. ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია, რის მიხედვითაც ჩატარდა ინსპექტირება
8. კვლევითი ნაწილი
9. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება
10. კონსტრუქციის ტიპების შეფასება
11. სიმაღლისა და ფართობის შეფასება
12. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება-
13. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებამისაწვდომობის შეფასება
14. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება
15. სახურავის ანაწყობების შეფასება
16. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება
17. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება
18. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება
19. განსაკუთრებული პირობები (დამატებითი)
20. ექსპერტიზის დასკვნა

1. ექსპერტიზის სახეობა:

ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები - ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის ან მისი ცალკეული ნაწილის ინსპექტირება, დოკუმენტის №AEC-IMP-II/01-17-ის შესაბამისად.

2. შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“ ინსპექტირების ორგანო

სამართლებლივად ნაკისრი ვალდებულებებით პასუხისმგებელია ინსპექტირების მიუკერძოებლობაზე, კვლევის ჯეროვან ჩატარებასა და ექსპერტიზის პროცესში მიღებული ნებისმიერი შედეგის კონფიდენციალობაზე.
საექსპერტო შეფასების შემსრულებელთა ჯგუფს ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელობისგან განემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც ასახულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე, 52-ე მუხლებში. ამასთან, გაფრთხილებულნი არიან, რომ ცრუ ჩვენების ან/და ყალბი დასკვნის მომზადების შემთხვევაში დაეკისრებათ პასუხისმგებლობა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით.

3. ინფორმაციული ზოგადი ნაწილი

ინსპექტირების (ექსპერტიზის) სახეობა	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის ან მისი ცალკეული ნაწილის ექსპერტიზა.
ინსპექტირების ობიექტის იდენტიფიცირება	ქ. თბილისში, ლუბლიანას ქ. N10, მ. ჭიაურელის ქ. N5, ლუბლიანას ქ. N4, ჩაჩავას ქ. N1, ლუბლიანას ქ. N5, ს.კ. 01.13.02.006.048, მრავალპროფილური კლინიკის
ინსპექტირების ჩატარების თარიღი	11.09.2018 — 24.06.2022
ანგარიშის ადრესატი	შპს „კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი” (ს/კ 404905821)
ინსპექტირების ჩატარების საფუძველი	ხელშეკრულება № AEC-III-C-A35-18 (11.09.2018წ.)
სამუშაოს სახეობა	ქ. თბილისში, ლუბლიანას ქ. N10, მ. ჭიაურელის ქ. N5, ლუბლიანას ქ. N4, ჩაჩავას ქ. N1, ლუბლიანას ქ. N5, ს.კ. 01.13.02.006.048, მრავალპროფილური კლინიკის არქიტექტურული პროექტის ნაწილების, „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებასთან შესაბამისობის საექსპერტო შეფასება;
მომხმარებლის იდენტიფიკაცია	1. შპს „კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი” 2. ს/კ 404905821 3. მის: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. N5 მე–3 სართ 4. დირექტორი: ლერი მსხვილიძე
ინფორმაცია ინსპექტირების ჩატარების ადგილის შესახებ	ქ. თბილისი, მირზა გელოვანის ქ. N24
ექსპერტიზის შემსრულებლები	ექსპერტი არქიტექტორი: ნინო მენთეშაშვილი
ნაკლოვანების ან ხარვეზის შემთხვევაში, ვადა, თუ როდის არის შესაძლებელი განმეორებითი ინსპექტირება	ვადა განისაზღვროს ახალი ხელშეკრულებით, განახლებული დოკუმენტაციის მოწოდების შემთხვევაში.

4. დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია

შპს „კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი" (ს/კ 404905821) მიერ, პროექტის არქიტექტურული ნაწილების საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკურ რეგლამენტი – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები" შესაბამისობის დადგენის მიზნით, წარმოდგენილი იქნა, მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს
მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების მოთხოვნების შესაბამისად, ქ. თბილისში, ლუბლიანას
ქ. N10, მ. ჭიაურელის ქ. N5, ლუბლიანას ქ. N4, ჩაჩავას ქ. N1, ლუბლიანას ქ. N5, ს.კ. 01.13.02.006.048, მრავალპროფილური კლინიკის საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული ნაწილი:
საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული ნაწილის ელექტრონული ვერსია pdf ფაილის სახით ერთი ეგზემპლიარი.

5. პროექტის აღწერილობა, დაგეგმარების საფუძველი და მიზნები:

პროექტი მიზნად ისახავს შენობის და მიწის ნაკვეთის დაგეგმარებას, თანამედროვე გეგმარებითი პრინციპებისა და "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" მიხედვით.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს: ქ. თბილისი, კ. ჩაჩავას და მ. ჭიაურელის ქუჩებს შორის, რკინიგზის საავადმყოფოს სამხრეთით. საკადასტრო კოდი 01.13.02.006.048, მიწის საერთო ფართობი 10233 მ2-ია. შენობის აბსოლუტური 0.00 ნიშნული ზღვის დონიდან 424.30 მეტრის ტოლია.

ტერიტორიის აღწერა:

ტერიტორიაზე მოხვედრა შესაძლებელია 2 მხრიდან: ცენტრალური შემოსასვლელი, განთავსდა ჭიაურელის ქუჩის მხრიდან, ხოლო მეორეხარისხოვანი შესასვლელი ლუბლიანას ქუჩიდან.

კორექტირება .

შეთანხმებული პროექტი ბრძანება № 4321503 27.12.2018 საფუძველზე საპროექტო შენობა - მრავალპროფილური კლინიკა.

წარმოვადგენთ შეთანხმებული პროექტის კორექტირებას, რომელიც მოიცავს:

კორექტირებულ პროექტში შენობას დაემატა ერთი ტიპიური სართული , +3.10 ნიშნულზე ანტრესოლის სართული და +35.80 ნიშნულზე მეორე ანტრესოლის სართული. შენობის სახურავზე დამატებით გვსურს მოვაწყოთ ვერტოდრომი.

შეთანხმებული პროექტი შედგებოდა ორი მიწისქვედა, ერთი მიწისპირა და შვიდი მიწისზედა სართულებისგან. სახურავის ფილა იყო 34.00 ნიშნულზე.

კორექტირებული პროექტი შედგება ორი მიწისქვედა, ერთი მიწისპირა , რვა მიწისზედა და ორი ანტრესოლის სართულისგან . სახურავის ფილა გახდა +39.30 ნიშნული.

ცვლილება შეეხო შნობის 0 და -1 სართულსაც. გადაუდებელი დახმარების განყოფილების 0 სართულზე ამოტანის საჭიროების არქონის გამო გაუქმდა ღია პანდუსი რომელიც ემსახურება -1 სართულზე შეთანხმებულ გადაუდებელი დახმარების ცენტრს, რომელითაც მხოლოდ სასწრაფო დახმარების მანქანა სარგებლობდა.

შენობის აღწერა:

საპროექტო შენობა - მრავალპროფილური კლინიკა (სამედიცინო ჯანმრთელობის ობიექტი) შედგება ორი მიწისქვედა, ერთი მიწისპირა და ათი მიწისზედა სართულისგან, საიდანაც ორი სართული არის ანტრესოლი.

საპროექტო შენობაში დაპროექტებულია სამანქანო პანდუსი, რომელიც გამოიყენება კლინიკის მომარაგების მიზნით ქუჩიდან -1 სართულის -3.10 ნიშნულამდე. ამავე ნიშნულზე არსებული სატვირთო ლიფტით ხდება -2 სართულზე არსებული საწყობების და სამზარეულოს მომარაგება.

შენობაში არის ოთხი კიბის უჯრედი, ოთხი ესკავატორი და თერთმეტი ლიფტი.

კიბე #1 მდებარეობს მთავარ შესასვლელებთან, B-C ღერძებს შორის, 7-8 მონაკვეთში, კიბე იწყება -6.54 ნიშნულიდან და მთავრდება +35.80 ნიშნულზე.

კიბე #2 განთავსებულია G- G-F ღერძებს შორის 3-4 მონაკვეთში, ის იწყება შენობის -2 სართულზე -6.54 ნიშნულიდან და მთავრდება შენობის სახურავზე +39.30 ნიშნულზე.

კიბე #2- თან დაპროექტდა 4 ლიფტი საიდანაც 2 არის სამგზავრო, ერთი სამედიცინო, სადაც შესაძლებელია საკაცის შეყვანა და მეოთხე - გვამის ლიფტი, რომელიც არის იზოლირებული და მასში მოხვედრა მხოლოდ კონკრეტულ განყოფილებაში მომუშავე თანამშრომლებს შეუძლიათ.

კიბე #3 G-FG-F ღერძებს შორის 10-11 მონაკვეთში, -6.54 ნიშნულიდან +35.80 ნიშნულამდე. ამ კონკრეტულ მონაკვეთში გვაქვს სულ 3 ლიფტი, 2 სამგზავრო და ერთი სამედიცინო.

კიბის# 4 მდებარეობს D-C ღერძებს შორის, 3-4 მონაკვეთში, -6.54 ნიშნულიდან -3.10 ნიშნულამდე.

E-D ღერძებს შორის 2-3 მონაკვეთში, არესბული ლიფტი მოძრაობს მხოლოდ -6.54 ნიშნულიდან -3.10 ნიშნულის ჩათვლით.

სატვირთო ლიფტი (პლატფორმა) F-E ღერძებს შორის 12-13 მონაკვეთში, რომელიც მხოლოდ ემსახურება -3.10 ნიშნულიდან -6.54 ნიშნულამდე საწყობების და სამზარეულოს მომარაგებას.

სამზარეულოს ორი ლიფტი F-E ღერძებს შორის 11-12 მონაკვეთში, ერთი არის სუფთა ხაზის, მეორე კი ჭუჭყიანი ხაზის. ლიფტები მოძრაობს -6.54 ნიშნულიდან +32.10 ნიშნულის ჩათვლით.

-2 სართული დაყოფილია რამდენიმე ზონად. რადიოლოგია, სამრეცხაო, სხივური თერაპიის განყოფილება, კომპიუტერული ტომოგრაფია, რენტგენი, მაგნიტო-რეზონანსული განყოფილებები, ასევე მომსახურე პერსონალის გასახდელი დუშებით, სასაწყობე ფართი, სამზარეულო.

-1 სართული არის ტექნიკური სართული, სადაც ავტომობილით ვხვდებით ტერიტორიის

სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან პანდუსის მეშვეობით. ამავე სართულზე განთავსებულია ტექნიკური მომსახურების ოთახი, სასერვერო, საწყობები, მორგი, მაღალი რისკის ინფექციური ნარჩენების ოთახი, ინფექციური ნარჩენების ოთახი, ანატომიური ნარჩენების ოთახი, ქიმიური ნარჩენების ოთახი, ფარმაცევტული ნარჩენების ოთახი.

±0.00 ნიშნულზე, ცენტრალურ შესასვლელბთან მოხვედრა შესაძლებელია ორი ცენტრალური კარით, სადაც ქუჩის მხრიდან ავდივართ კიბეებით, პანდუსით და სამანქანე პანდუსით.

ლობში განთავსებულია მიმღები. ±0,00 ნიშნულზე B-G ღერძებს შორის 2-3 და C-F ღერძებს შორის 3-4 მონაკვეთში მოეწყობა გადაუდებელი დახმარების განყოფილება ყველა საჭირო ოთახით და სათავსით რაც მოთხოვნილია კანონმდებლობით. გადაუდებელ განყოფილებაში სასწრაფო დახმარების მანქანით მისული და ასევე თვითდინებით მისული პაციენტებისთვის არის ორი დამოუკიდებელი შეშასვლელი E-D ღერძებს შორის 2-3 მონაკვეთში ხოლო, პაციენტების თანმხლები პირები განყოფილების მოსაცდელში ხვდებიან G ღერძზე 2-3 მონაკვეთში არსებული კარით.

ამავე ნიშნულზე მთავარ ფასადთთან დაპროექტდა ორი აფთიაქი და კაფე. უკანა ფასადის მხარეს განთავსებულია დაცვის ოთახი, სამუშაო ოთახი, ადმინისტრაციის ოთახი და არქივის ოთახი. სველი წერტილები 2 ქალის, 2 კაცის და 1 უნარშეზღუდულთა. ლობში, F-C ღერძებს შორის 4-10 მონაკვეთში 0.00 ნიშნულიდან +6.20 ნიშნულის ჩათვლით არის გახსილი ატრიუმი, სადაც დამონტაჟდება ოთხი ექსკავატორი . აქედან ორი არის E-D ღერძებს შორის 7-10 მონაკვეთში 0.00 ნიშნულიდან +6,20 ნიშნულამდე და მეორე ორი F-C ღერძებს შორის 8-10 მონაკვეთში +6.20 ნიშნულიდან +9.90 ნიშნულამდე.

ქ. თბილისი, მ. გელოვანის ქ. N24 599 400 208 archexpertisecenter@outlook.com

შენობის ანტრესოლზე +3.10 ნიშნულზე განთავსებულია კლინიკის ადმინისტრაცია. კაბინეტები, შეხვედრების ოთახები , სასაწყობე ოთახები, კაფეტერია თანამშრომლებისთვის და 2 სველი წერტილი. სართულზე მოხვედრა შესაძლებელია სამი კიბის უჯრედით და ასევე ლიფტებით.

შენობის პირველ და მეორე სართულზე, +6.20 და +9.90 ნიშნულებზე განთავსებულია სველი წერტილები, ექიმის სამუშაო კაბინეტები, დიაგნოსტიკური კაბინეტები და E-D ღერძებს შორის 2-3 და 11-12 მონაკვეთებში - ტერასები.

შენობის მე-3, მე-4, 5 და მე-6 სართულების გეგმა იდენტურია:

ამ სართულებზე განთავსებულია პალატები, მანიპულაციის ოთახები, ექიმის კაბინეტები, საორდინატორო, ტექნიკური ოთახები, საწყობი, სტერილიზაციის ოთახი, დამლაგებლის ოთახი, აფთიაქის საწყობის, 2 კაცის, 2 ქალი და 1 შშმ პირისთვის განკუთვნილი სველი წერტილები და E-D ღერძებს შორის 2-3 და 11-12 მონაკვეთებში - ტერასები.

შენობის მე-7 სართულზე +28.40 ნიშნულზე განთავსებულია: რეანიმაციის განყოფილება, რეანიმაციის ბლოკი, რეანიმაციის ვიპ ბლოკი, ექიმის კაბინეტები, პრე საოპერაციო და პოსტ საოპერაციო ოთახები. ამავე სართულზე განთავსებულია 6 საოპერაციო ოთახი, თავიანთი დამხმარე ოთახებით, რომლებთაც აქვთ საერთო, ცალკე გამოყოფილი ჰოლი, საიდანაც ხდება სამედიცინო ნარჩენების გატანა ამ სართულიდან -3.10 ნიშნულამდე იზოლირებულად. ამავე სართულზე განთავსებულია სამრეცხაო, სტერილიზაციის ოთახები და საოპერაციო საწყობები, დამლაგებლის ოთახი, აფთიაქის საწყობი, 2 კაცის, 2 ქალის და 1 შშმ პირისთვის განკუთვნილი სველი წერტილები და E-D ღერძებს შორის 11-12 მონაკვეთებში - ტერასით.

შენობის მე-8 სართულზე +32.10 ნიშნულზე განთავსებულია საკონფერენციო სივრცე, რომელიც არის

ორ-სინათლიანი, მისაღები სივრცე, აუდიტორია, დასასვენებელი სივრცე ლაუნჯი, სასაწყობე სივრცე, 2 კაცის, 2 ქალის და 1 შშმ პირისთვის განკუთვნილი სველი წერტილები. F-B ღერძებს შორის 4-7 მონაკვეთში მოეწყობა ღია ტერასა, რომლის თავზე არ იქნება გადახურვა. C-B ღერძებს შორის 2-4 და 7-12 ღერძებს შორის ასევე არის ტერასა, რომლიც არის გადახურული +39.30 ნიშნულზე მოწყობილი სახურავის ფილით.

ღია და დახურულ ტერასაზე მოხვედრა შესაძლებელია, როგორც საკონფერენციოდან, ასევე მოსაცდელი, მოსასვენებელი და საერთო სივრცეებიდან.

მე-9 სართულზე ანტრესოლზე +35.80 ნიშნულზე განლაგებულია დამხმარე სათავსები, ციტოლოგიური და მორფოლოგიური არქივი, ლაბორატორია, კაბინეტები, მოსასვენებელი სივრცეების 2 კაცის, 2 ქალის და 1 შშმ პირისთვის განკუთვნილი სველი წერტილები. ამავე ნიშნულზე G-F ღერძებს შორის 7-10 მონაკვეთებში განთავსებულია ოთხი ვიაიპი პალატა.

შენობის სახურავი +39.30 ნიშნულზე. G-F ღერძებს შორის 3-4 მონაკვეთებში ამოდის კიბის უჯრედი და ლიფტები

G-E ღერძებს შორის 2-4 მონაკვეთებში განთავსდება 7ცალი აჰუ.

G- F ღერძებს შორის 4-8 და 8-12 მონაკვეთებში განთავსდება ჩილერები და აჰუები.

F- B ღერძებს შორის 8-12 მონაკვეთებში განთავსდება ვერტოდრომი, რომელიც სახურავის დონიდან აწეულია 1,5 მეტრით და მისი ნიშნულია +40.80. ასევე მოეწყობა ვერტოდრომზე ასასვლელი კიბე და პანდუსი. ვერტოდრომი და პანდუსი დაპროექტებულია სტანდარტების მიხედვით ისე, რომ შესაძლებელი იყოს ვერტოდრომიდან პაციენტის საკაცის მიყვანა ლიფტებამდე, შეფერხების გარეშე.

სახურავის გადახურვა მოწყობილია შემდეგნაირად: რკინა-ბეტონის ფილა, მასზე ორთქლსაიზოლაციო ფენა, XPS დამათბუნებელი ფენა, დამცავი პოლიეთილენის ფირი, მოჭიმვა ქვიშა ცემენტის ხსნარით და რუბეროიდი. გადახურვის მთელ პერიმეტრზე მოწყობილია პარაპეტი.

ფასადის აღწერა:

მთლიანი შენობის ფასადი არის მონოლითური რკინა-ბეტონის საფარი, დამუშავებული ლაქით.

შენობის ±0.00 სართულის შემავსებლად გამოყენებულია ვიტრაჟი - მოწყობილი 20 მმ-იანი მინის სტრუქტურაზე, შევსებული სილიკონით. მინა არის დაბალემულსიური, ნაწრთობი, ლამინირებული, მინის სისქე - 10 სმ.

დანარჩენი სართულების შემავსებლად გამოყენებულია ვიტრაჟი, მოწყობილი ალუმინის პროფილზე ორმაგი მინა-პაკეტით სილიკონ სისტემით. ორი 6 მმ-იანი მინა დაბალემულსიური, ნაწრთობი, ლამინირებული მინა-პაკეტი.

პროექტით გათვალისწინებულია ტერიტორიის გამწვანება, კეთილმოწყობა, როგორც ფეხით მოსიარულეთათვის, ასევე ავტომობილებისთვის.

პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა:

შენობის საძირკველი არის კომბინირებული. შეადგენს გაძლიერებული რკინა-ბეტონის ფილას, მის სტრუქტურას -6.54 ნიშნულიდან +39.30 ნიშნულამდე წარმოადგენს რკინა-ბეტონის კონსტრუქციას, რბ-ის სვეტებითა და კოჭებით.

საპროექტო შენობაში უნდა მოეწყოს:

1. შენობა აღიჭურვება NFPA13-ის ან საქართველოში არსებული შესაბამისი სტანდარტის მიხედვით დამონტაჟებული ავტოსაშხეფი სისტემით;

2. სახანძრო მილდგარები განთავსდება NFPA14-ის ან საქართველოში აღიარებული სხვა სტანდარტების შესაბამისად;

3. შენობა აღიჭურვება ავტომატური სახანძრო საგანგაშო სისტემით;

4. შენობა აღიჭურვება კვამლაღმომჩენი სისტემით;

5. შენობა აღიჭურვება ცეცხლის ავტომატური აღმომჩენებით;

6. არხის კვამლაღმომჩენები განთავსდება კონდიცირების თითოეული სისტემის და ჰაერგამწოვ მთავარ არხებში, ასევე ყველა ასეთი სისტემის მისაერთებელთან;

7. შენობა აღიჭურვება საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემით, რომელიც დაგეგმარდება და დამონტაჟდება NFPA 72-ის ან საქართველოში აღიარებული სხვა სტანდარტის შესაბამისად;

8. ელექტრომომარაგება და განათება ხანძრის საკონტროლო ცენტრისთვის განიავებისა და ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი მოწყობილებები, ლიფტები, გასასვლელი ნიშნები, გასასვლელი საშუალების განათება, ლიფტის კაბინის განათება, საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემები, ცეცხლის ავტომატურად აღმომჩენი სისტემები, სახანძრო განგაშის სისტემები, ელექტროენერგიაზე მომუშავე სახანძრო ტუმბოები (საქაჩები), უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი სათადარიგო ელექტრომომარაგების სისტემებით - დიზელ-გენერატორის საშუალებით;

9. დერეფანი და კიბე განიავდება მექანიკური განიავების სისტემებით, ეს სისტემები იქნება ურთიერთ და სხვა სისტემებისგან დამოუკიდებელი.

6. დაგეგმარებისათვის გამოყენებული კანონმდებლობა:

- საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ";
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები";
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N64 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 ნოემბრის N498 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
-

7. ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია, რის მიხედვითაც ჩატარდა ინსპექტირება

ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები - ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის ან მისი ცალკეული ნაწილის ექსპერტიზა.

ექსპერტიზის შერულების პროცესში გამოყენებული იქნა:

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ";

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები";

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N64 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

8. კვლევითი ნაწილი

ექსპერტის მიერ არქიტექტურული პროექტის ნაწილების შესაბამისობა შეფასდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N63 დადგენილებით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

9. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განსათავსებელი თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობებისთვის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას, დაკავებულობები არის კლასიფიცირე ბული მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება წესების **302-ე ქვეთავს.**
პროექტში გამოყენებულია სასაწყობო **(სწ-1, სწ-2),** დამხმარე და სხვა დანიშნულების ჯგუფის **(დს),** დიდი საფრთხის შემცველი ჯგუფის **(დსშ-2),** დაწესებულებითი ჯგუფი **(დწ-2),** სავაჭრო ჯგუფის **(სვ)**, საქმიანი ჯგუფი **(სქ)**, თავშეყრის ჯგუფი **(თვ-2, თვ-3)**, დაკავებულობები, კერძოდ:

1. **სასაწყობო ჯგუფები სწ-2** დაკავებულობა - საინჟინრო და სამეურნეო აღჭურვილობის საწყობები -6.54, -3.10, +35.80 ნიშ-ზე, *წესების* **311.3 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობებს, სადაც არაწვადი მასალები ინახება და მიეკუთვნება მცირე საფრთხის შემცველ სასაწყობო ჯგუფს.
2. **სასაწყობო ჯგუფები სწ-1** დაკავებულობა - არქივი, საწყობები -6,54, -3.10, ±0.00, +3.10, +13.60, +28.60, +32.10 ნიშ-ზე, *წესების* **311.2 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობებს, სადაც ინახება:
   - წიგნები და ქაღალდის რულონები ან შეკვრები;;
   - თოკები;
   - მუყაო და მუყაოს ყუთები;

3. **დამხმარე და სხვა დანიშნულების ჯგუფი დს** დაკავებულობა - წყლის ავზი და ტუმბო, ტექნიკური ოთახი, სამრეცხაო, თეთრეულის ოთახი, დამხმარე სათავსები -6.54 ,-3.10, +3.10, +6.20, +9.90, +13.60, +17.30, +21.00, +24.70 ნიშ-ზე, რაც შეესაბამება **წესების 312.1 ქვეთავს.**
4. **სავაჭრო ჯგუფი სვ** დაკავებულობა - აფთიაქი ±0,00 ნიშნულზე *წესების* **309 ქვეთავის** მიხედვით მოიცავს ისეთი შენობებისა და ნაგებობების ან მათი ნაწილების გამოყენებას, სადაც გამოფენილია და იყიდება საქონელი, ასევე, განთავსებულია ამგვარი საქონლის მარაგი, ნაკეთობები და სავაჭრო საქონელი და მისაწვდომია საზოგადოებისათვის. სავაჭრო ჯგუფი მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილს, მაგრამ არა მხოლოდ მათ:
   - აფთიაქებს;
   - ბაზრებს/მარკეტებს;
   - საცალო და საბითუმო მაღაზიებს;
   - უნივერმაღებს.

   სავაჭრო ჯგუფისთვის დაკავებულობის დატვირთვა გაანგარიშებულია **1004 ქვეთავის ცხრილი 1004.1.2** მიხედვით და გამოყენებულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 5,6 მთლიანი.
5. **საქმიანი ჯგუფი სქ** - ჰოლი, აფთიაქი, დაცვის ოთახი, ოფისები, სამზარეულო, პროდუქტების დასამუშავებელი ოთახი, კაბინეტები, საორდინატორო, შესახვევი, სამანიპულაციო, რეანიმაცია, რეანიმაციის ბლოკი, ექიმის კაბინეტები, პრე და პოსტ საოპერაციო, აუდიტორიები, შეხვედრების და სამუშაო ოთახები -6.54, -3.10, ±0.00; +9.90; +13,60; +17,30; +21,00; +24.70, +28.40, +32.10, +35.80 ნიშ-ზე, - *წესების* **304.1 ქვეთავის** მიხედვით მოიცავს
   - ამბულატორიულ კლინიკებს;
   - ბანკებს;
   - საფოსტო განყოფილებებს.

   სქ დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **9.3, 1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით.
6. **თავშეყრის ჯგუფი თვ-2** - კაფე, სასადილო ±0.00, +3.10 ნიშნულებზე, შეესაბამება 303.3-ე ქვეთავს, რომელიც მოიცავს:
   - რესტორნებს,
   - კაფეებს და კვების მსგავს დაწესებულებებს (მათთან დაკავშირებული სამზარეულოების ჩათვლით), საბანკეტო დარბაზებს,
   - ღამის კლუბებს.

   თვ-2 დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **1.4, 1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით და **თვ-2** დაკავებულობის საერთო დაკავებულობის დატვირთვა ტოლია **118**-ის.

7. **თავშეყრის ჯგუფი თვ-3** - საკონფერენციო დარბაზი +32.10 ნიშნულზე შეესაბამება **303.4-ე ქვეთავს,** რომელიც მოიცავს:
   - ბიბლიოთეკებს,
   - საგამოფენო დარბაზებს,
   - სალექციო დარბაზებს.

   თვ-3 დაკავებულობისთვის საკონფერენციო დარბაზი - **1004.1.2 ცხრილის** და **1004.4 ქვეთავის** მიხედვით დაკავებულობის დატვირთვა განსაზღვრულია ფიქსირებული დასაჯდომების მიხედვით და თვ-3 დაკავებულობის საერთო დაკავებულობის დატვირთვა ტოლია 196 (მათ შორის შშმ პირთათვის 5 ადგილია გათვალისწინებული).
8. **დაწესებულებითი ჯგუფი დწ-2** პალატები ავადმყოფებისთვის: +13.60, +17.30, +21.00, +24.70, +35.80 ნიშნზე, შეესაბამება **308.4-ე ქვეთავს,** რომელიც მოიცავს
   - დეტოქსიკაციის დაწესებულებებს;
   - მოხუცებულთა თავშესაფრებს;
   - საავადმყოფოებს;

   დწ-2 დაკავებულობისათვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **22.3, 1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით, დაწესებულებითი ჯგუფი **დწ-2** -ის პალატები განთავსებულია 5 სართულზე, სულ 84 პალატაა, მათ შორის 4 ვიაიპი პალატა და ხუთივე სართულზე დაწესებულებითი ჯგუფის დაკავებულობის ჯამური დატვირთვა შეადგენს 225 დამკავებელს. დაწესებულებითი ჯგუფის **დწ-2** დაკავებულობის პალატები მოწყობილია **407 -ე ქვეთავების** შესაბამისად და აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს.
9. **დიდი საფრთხის შემცველი ჯგუფი დსშ-2** რადიოლოგიის კაბინეტები: -6.54, ნიშნულზე.
   შეესაბამება **307.4-ე ქვეთავს,** რომელიც მოიცავს

- არამდგრადი(რეაქტიული) ნივთიერებები, კლასი3, არადეტონაციური;

10. კონსტრუქციის ტიპების შეფასება.

შენიბა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით საპროექტო შენობისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღვრულია **721.1 ცხრილის** მიხედვით), შენობაში არსებული დაკავებულობის საფუძველზე და შენობის საპროექტო სიმაღლიდან გამომდინარე შენობისთვის განსაზღვრულია **I-A** კონსტრუქციის ტიპი.
პროექტის კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ საპროექტო შენობის ელემენტები (გარე და შიგა მზიდი კედლები, სართულშუა და სახურავი) აკმაყოფილებს **601 ქვეთავს და 601 ცხრილის** მოთხოვნებს და შეესაბამება **I-A** კონსტრუქციის ტიპისთვის მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხს.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

11. სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

503 ცხრილის მიხედვით, საპროექტო შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციული **I-A** ტიპის მიხედვით დადგენილია შენობის დასაშვები სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი.
შენობის თითოეული სივრცე დაყოფილია დაკავებულობების მიხედვით. თითოეულ სართულზე დაკავებულობების ფართობის ჯამური მაჩვენებელი გასასვლელი საშუალებების ფართობებთან და სხვა ელემენტებთან ერთად არ ცდება **503 ცხრილში** მითითებულ სართულების ფართობთან დაკავშირებულ ზღვრებს.

შენობის სიმაღლე მიწის დონიდან შეადგენს 39.30 მეტრს, ხოლო შენობის დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 35.80 მ-ზე, ანუ 23.00 მ-ზე მაღლა და შესაბამისად, *„წესების“* განმარტების მიხედვით საპროექტო შენობა არის მაღლივი.
საპროექტო შენობის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს ***„წესების“* 503 ცხრილის** მოთხოვნებს.

12. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.
წესების **მე-10 თავის 1021.2 ქვეთავის და 1021.2(2) ცხრილიდან** გამომდინარე მოთხოვნილი ორის ნაცვლად, შენობას ემსახურება სამი გზა-კიბე.

გასასვლელები განაწილებულია შემდეგნაირად:
მიწის დონის ქვემოთ, -6.54 ნიშნულზე განთავსებულ დამხმარე **დს**, საქმიანი **სქ**, დიდი საფრთხის შემცველი **დსშ** და სასაწყობე **სწ-1, სწ-2** დაკავებულობების ჯგუფებს, დაკავებულობის დატვირთვიდან (116) და *წესების* **1021.2(2)** ცხრილიდან გამომდინარე ემსახურება სამი გასასვლელი - სამი გზა-კიბე. რომლებიც შემოზღუდულია ორსაათიანი ცეცხლმედეგობის შემომზღუდავებით **(1009.3.1.2 ქვეთავი).**
გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 50.00 მ-ს.
-6.54 ნიშ-ზე მდებარე დიდი საფრთხის შემცველი **დსშ-2** - დაკავებულობასთან მოწყობილია დამატებით ერთი გასასვლელი- გზა-კიბე -3.10 ნიშნულზე გასასვლელად და გასასვლელამდე სავალი მანძილი არ აღემატება 30 მეტრს.
მიწის დონის ქვემოთ, -3.10 ნიშნულზე განთავსებულ დამხმარე **დს,** საქმიანი **სქ** და სასაწყობო **სწ-1, სწ-2** დაკავებულობების დატვირთვიდან (89) და *წესების* 1021.2(2) ცხრილიდან გამომდინარე, მოთხოვნილი ორის ნაცვლად ემსახურება 3 გასასვლელი - სამი გზა-კიბე და ერთი გზა-კარი, რომლებიც აკმაყოფილებს **1005.3.2 ქვეთავის** მოთხოვნებს და წესების შესაბამისი საფეხმავლო ბილიკის გავლით უკავშირდება საზოგადოებრივ ზონას - ქუჩას.
გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 58.00 მ-ს.
±0.00 ნიშნულზე მდებარე საქმიანი **სქ**, თავშეყრის **თვ-2**, სასაწყობო **სწ-1, სწ-2,** დამხმარე **დს,** და სავაჭრო **სვ** ჯგუფის დაკავებულობების დატვირთვიდან (216) და წესების **1021.2(2)** ცხრილიდან გამომდინარე, მოთხოვნილი ორის ნაცვლად ემსახურება 6 გასასვლელი - 6 გზა-კარი, რომლებიც აკმაყოფილებს **1005.3.2 ქვეთავის** მოთხოვნებს და წესების შესაბამისი საფეხმავლო ბილიკის გავლით უკავშირდება საზოგადოებრივ ზონას - ქუჩას.
გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 50.50მ-ს.

+3.10 ნიშნულიდან +35.80 ნიშნულის ჩათვლით, საერთო დაკავებულობების დატვირთვიდან (96, 97, 127, 95(4 სართ-ზე), 107,268, 36) და *წესების* 1021.2(2) ცხრილიდან გამომდინარე, ემსახურება 3 გასასვლელი - სამი გზა-კიბე.
გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 50.50მ-ს.

შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის და გასასვლელის კომპონენტების ზომები გათვალისწინებულია **მე-10 თავის** შესაბამისად.
ბოლო სართულიდან სახურავის ზედაპირზე მოხვედრა შესაძლებელია გზა-კიბის მეშვეობით.

ვინაიდან შენობა არის მაღლივი და სამი გზა-კიბე ემსახურება 2 მიწის დონის ქვედა და 11 მიწის დონის ზედა სართულებს, აქედან გამომდინარე სამივე გზა-კიბე არის დაწნევადი, რომელიც მოწყობილია **1022.10. ქვეთავის** შესაბამისად და დანარჩენი სივცეებისგან შემოზრუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის შემომზღუდავებით. გზა-კიბის შემომზღუდავებში მდებარე ღიობები დაცულია 0.90 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე კარის ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს **716.5 ცხრილის** მოთხოვნებს.
შიგა გასასვლელის გზა-კიბეები აკმაყოფილებს *წესების* **403.5.1 ქვეთავის** მოთხოვნებს შიგა გასასვლელის გზა-კიბეების დაშორებასთან დაკავშირებით და **403.5.4 ქვეთავის** მოთხოვნებს გასასვლელების კვამლგაუმტარ შემოზღუდვასთან დაკავშირებით. შიგა გასასვლელის გზა-კიბეები ერთმანეთისგან დაშორებულია 9 მეტრზე მეტი მანძილით.

თავშესაფრის ფართობებად გამოყენებულია **407.5.1 ქვეთავის** მიხედვით დასაშვები ფართობები და სივრცეები (დერეფნები, საძინებელი ფართობები, სამკურნალო/საპროცედურო ოთახები), რომლრბიც უზრუნველყოფილია დაწნევის სისტემებით.

პროექტის მიხედვით ვინაიდან შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, **წესების 1016 ქვეთავისა და 1016** ცხრილის მიხედვით გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი დაშვებულია: **დწ-2**-თვის 60 მეტრი, **თვ** -თვის 75 მეტრი, **სქ**-თვის 90 მეტრი, ხოლო **სწ-2, დს** -თვის - 120 მეტრი, ხოლო **დსშ-2**-ის - 30 მეტრი, რაც პროექტში დაცულია.

13. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია **1009 ქვეთავის** შესაბამისად.

გზა-კიბეების სიგანე განსაზღვრულია **1009.4 ქვეთავის** და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.1. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (**7.6**). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია 1.35მ სიგანის გზა-კიბეები და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისთვის. კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარეს მოწყობილია მოაჯირები **1013 ქვეთავის** შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს სახელურები **1012 ქვეთავის** მოთხოვნათა დაცვით. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს **1009.7.2 ქვეთავის** მოთხოვნებს. გზა-კიბეების ბაქნების ზომები შეესაბამება **1009.8 ქვეთავის** მოთხოვნებს;

გასასვლელების სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია **1018 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. დერეფნის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1018.2 ქვეთავის** და თითოეულ სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით. დერეფნების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (**5.1 მმ**). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია მოთხოვნილ 1.80მ. და 2.40მ. მეტი სიგანის, რაც შეესაბამება **1018.2 ცხრილის** მოთხოვნებს.

გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (**5.1 მმ**). ყველა კარი აკმაყოფილებს განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნას, სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს მოთხოვნილ 82 სმ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს.

14. მისაწვდომობის შეფასება

მე-11-ე თავის მიხედვით, გეგმებზე მითითებულია მისაწვდომობის სვლაგეზი (**1104 ქვეთავი**), გათვალისწინებულია მისაწვდომი შესასვლელი, რომლებიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მისაწვდომობას ±0,00 მ ნიშნულებზე.

შენობის ყველა დაკავებული დონე არის მისაწვდომი, მათზე მოხვედრა შესაძლებელია ექვსი ლიფტის საშუალებით. ლიფტის კაბინა გაბარიტების მიხედვით, არის მისაწვდომი და აკმაყოფილებს **1109.7 ქვეთავის** მოთხოვნებს;

შშმ პირები ±0.00 ნიშნულზე ხვდებიან **1010 და 1026 ქვეთავების** მიხედვით მოწყობილი ორი 6%-იანი პანდუსების საშუალებით.

მოწყობილია მისაწვდომი ტუალეტები შშმ პირთათვის, რაც აკმაყოფილებს **1109.2 ქვეთავის** მოთხოვნებს.

სწორად არის განსაზღვრული მისაწვდომი სვლაგეზი და აკმაყოფილებს **1104 ქვეთავის** მოთხოვნებს;

ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია, არის მისაწვდომი.

შშმ პირთა გადაადგილება საზოგადოებრივი სივრციდან შენობამდე და პირიქით შესაძლებელია დაუბრკოლებლად.

15. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება

